



№ 75 (10 488)
25 აპრილი,
საბჭოთაეთი.
1991 წ.
ფასი 10 კაპ.

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



მოლოდინეო ოსტატობან შეხინარხუნოთ


ტურნირის ეპო

ზაბაზა მოკრივეთა VII ტრადიციულ ტურნირს ევროპის ექსტრემიზონ დავით კვაჭავაძის პრიზზე, რომლის შედეგები „ლელოს“ მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რიგითს ვერ უწოდებ, რადგან იგი საგანგებო ვითარებაში ჩატარდა, იცით ისიც, რომ ასპარეზობამ საერთაშორისო ტურნირის (ასეთი უნდა ყოფილიყო იგი ამიერიდან) სტატუსი დაკარგა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ დღეს ქართული კრიკეი ამდგომლობის გზაზეა. ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ქართულმა კრიკემა შეინარხუნოს მონაპოვარი. საშეჯიბრებო პრაქტიკა კი წინსვლის ერთ-ერთი ქვეყნებია. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ესაქირებებათ დღევანდელ მონარდებს, 15-16 წლის იმ ქაბუკებს, რომლებიც დ. კვაჭავაძის ტურნირში გამოდიოდნენ. ამ ასაკზე იმტომ გამხვილებთ ყურადღებას, რომ როცა იზოლაციას დავადწვეთ თავს, სწორედ დღევანდელ პირტიკველა ბიჭებს მოუწევთ საქართველოს ღირსების დაცვა დიდ რინგზე. ამდენად, აქედანვე უნდა ვეცადოთ, არ წარმოშვას ვაკუუმი და ხელცარიენი არ შევხვდეთ ქართული კრიკეის საერთაშორისო სარბელზე გასვლას.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ „განვლილ ტურნირს“, საგანგაშო არაფერია, რადგან, როგორც ასპარეზობამ დაგვარწმუნა, საქართველოში კრიკეის უკვე აღიარებულ

ლი ცენტრების — თბილისის, ქუთაისის, მესტიის, ფოთისა და ხობის გვერდით განხილავთ მძლავრი კერები — გორის, თეთრი წყაროს, თელავის, სენაკის, საჩხერის, ქიათურისა — რომელთა აღსაზრდელები ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ ძლიერ მეტოქეებს.

სხვათა შორის, ყურადღება მიიქცია ქუთაისელმა სპორტსმენმა ი. ბანძელაძემ (42 კგ). იგი ორიონის პირა ქალაქის კრიკეის სკოლის ტიპური წარმომადგენელია და ისიც ბრძოლის ორიგინალური ყაიდით გამოირჩევა — მთელ შეხვედრას კონტრიერშივე აგებს. სწორედ ასე იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ ამ სკოლის გზის გამგვალავნი; სსრ კავშირის ჩემპიონები ქაბუკთა შორის: თენგიზ გუგუაძე (მას ამ დღეებში 60 წელი შეუსრულდა და



ქართული კრიკეის გულშემატიკვართა სახელით ვულოცავთ ამ საიუბილეო თარიღს ევტერან სპორტსმენს), ფრიდონ ლომიძე, ჯუმბერ კვანტალიანი, ნოგენი თორთლაძე და სხვები. ეგაა რომ, ბანძელაძემ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შორიდან დარტყმების სიზუსტისა და მანძილის გრძობის შემუშავებას, რათა მისი კონტრიერიშები მიზანში დარტყმებით დამთავრდეს.

ტურნირმა ისიც დაგვანახა, რომ ქუთაისელ მოკრივეებს ჩვენში მიმდევრებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც ამთავითვე ერიდებიან დარტყმითა უმისამართო გაცვლა-გამოცვლას და ვაჯარბული ტაქტიკით იბრძვიან. ამის მაგალითი იყო თეთრიწყაროელ ბ. ვარძელაშვილის გამოსვლა, რომელიც დიდი უპირატესობით იმარჯვებდა. სამწუხაროდ, ბოლო დღეს აწონვაზე დაგვიანდა, რის გამოც ფინალში ვერ ვიხილეთ...

ერთი სიტყვით, კვლავ დაგრწმუნდით, რომ საქართველოში ქაბუკ მოკრივეთა შესანიშნავი კადრებია, ახლა მთავარია, მათთან გეგმავობიერი მუშაობა რომ წარმოებოდეს. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ მწვრთნელებმა და კრიკეის სპეციალისტებმა, რათა ქართული კრიკეის ბრწყინვალეობა არ გავერძეოთ.

უზანა ზინინაძე

საქართველოს სპორტსმენები ალარ გაომოდინან საბჭოთა კავშირის ნაკრებ ვუნდებში მაბრამ საქართველოს სპორტულ სარბილზე დამოუკიდებლად გასვლის გზების ძიება პრქელდება

საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ დაეწავნოს ოფიციალური წერილი სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ყველა საერთაშორისო ფედერაციას. რესპუბლიკური ფედერაციების დასახ-

მარებლად ვაქვეყნებთ მიმართვის ტექსტის ნიმუშს, სადაც, ცხადია, არაა მითითებული სპორტის სახეობა, აგრეთვე წარმატებები, რომლებიც კონკრეტულად ამ სახეობაშია მოპოვებული ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენების მიერ.

დიდად პატივისცემულ ბატონო პრეზიდენტო!

გვაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საყოველთაო რეფერენდუმზე დაყრდნობით, გამოხატა რა რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნება, აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რითაც ბოლო მოეღო საქოთა რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს რესპუბლიკის ანექსიას და 70-წლიან იძულებით ყოფნას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

გამოვედით რა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, ამიერიდან საქართველოს სპორტსმენები, როგორც სუვერენული დემოკრატიული ქვეყნის წარმომადგენლები, ალარ იასპარეზებენ საბჭოთა კავშირის სახელით და მისი დროში.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანვე შევწყვიტეთ ყოველგვარი ურთიერთმა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სპორტულ ორგანიზაციებთან. ჩვენი რესპუბლიკის ფედერაცია, აგრეთვე, გამოეყო საკავშირო შესაბამის ფედერაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად ქართველი სპორტსმენები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო შეჯიბრებებში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში.

თავს ნებას ვაძლევთ შეგახსენოთ, რომ საქართველოს სპორტსმენები 1952 წლიდან (პელსინეს ოლიმპიად) მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში, როგორც სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრები გუნდის წევრები და ამ დროის მანძილზე მოპოვებულია თვალსაჩინო წარმატებები.

რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ხელმძღვანელებენ რა ოლიმპიური ქართის მოთხოვნებით, აღიარებენ მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო ფედერაციის უზენაესობას. ჩვენი სახეობის განვითარების მდიდარი ტრადიციებიდან გამომდინარე, დაბეჭდვით გთხოვთ განიხილოთ და დადებითად გადაწყვიტოთ საერთაშორისო ფედერაციებში ჩვენი ფედერაციის გაწევრიანებას საკითხი.

გამოთქვამთ იმედს, რომ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, გავებით და კონსტრუქციულად მოეკიდებით ჩვენს წინადადებას, მხარს დაუჭერთ თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეალისათვის მებრძოლი ზალხის ნებას, რითაც ხელს შეუწყობთ საქართველოს რესპუბლიკის აღიარებას და დამკვიდრებას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ხელს შეუწყობთ მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს სპორტსმენთა პოტენციალის სრულად წარმოჩენას.

თქვენი გადაწყვეტილება გთხოვთ გაცნობოთ ტელექსით (88999) 235678 ან წერილით: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი, კვაჭავაძის გამზირი, 49.

პატივისცემით,

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი
პ. ანათინაძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი
ნ. გაფრინდაშვილი

ფედერაციის თავმჯდომარე



მიხეილ მუსხის სახელი მიენიჭა

დაკმაყოფილდას ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ფეხბურთის ოლიმპიური რეზერვის სახმართველო სკოლა „ავაზას“ დირექციის თხოვნა და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ფეხბურთის სახმართველო სკოლა „ავაზას“ მიეკუთვნოს წარსულში ცნობილი ფეხბურთელისა და სკოლის დამარხებლის მიხეილ შალვას ძე მესხის სახელი. სკოლა შემდგომში იწოდებოდეს „ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მიხეილ მესხის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ფეხბურთის სპეციალიზებულ სახმართველო სკოლა „ავაზად“.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საპალატო საბჭოს პრეზიუმის სახალხო განათლების სამმართველო

მსოლდ ტექნიკური შედეგები



ცენტრ-კლუბ „ბულო-კანის“ ღია პირველობა კარატე-დო სიტო-კუიში გოგობებს შორის. პროფკავშირების სახალხო, თბილისი, 50 მონაწილე.

14-16 წლის გოგობები, 45 კგ: 1. ი. იაკუშვილი (კლუბი „ნაციონალი“), 2. ზ. გლოველი, 3. მ. ნინიანიძე (ორივე ცენტრ-კლუბ „ბულო-კანისა“). 55: 1. შ. გულორაძე („ბულო-კანი“), 2. ნ. პროკოფიევი (კლუბი „ლელო“), 3. ტ. ბარზილოვა („ბულო-კანი“).

17 წლის ჯეით, 70 კგ: 1. შ. ტურტერაშვილი, 2. მ. მიქაბერიძე, 3. ნ. ჩოქური (სამივე კლუბ „ბულო-კანიდან“).

შეჯიბრების ორგანიზატორი იყო ცენტრ-კლუბი „ბულო-კანი“, სპორტის ფორმა „უნინგი“.

ნარდი და უკუპრიოზოდ?

აღბათ, ძნელად თუ მოვძებნით საქართველოში სპორტის ძველ თუ შედარებით ახალ სახეობებს, რომლებსაც შეჯიბრებათა ისეთი „მდიდრული“ კალენდარი ჰქონდეთ, როგორც ნარდს. ამჯერად უკვე ქუთაისის ეწვივნენ რესპუბლიკის საუკეთესო მონარდები, რომლებიც საქართველოს ჩემპიონის სახელს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

ქუთაისამდე კი თითოეულ მთავან შორი გზა ჰქონდა გასაცული... თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, თელავში და რუსთაველში ჩატარდა შესარჩევი ტურნირები, რომლებმაც გამოავლინეს 100 უძლიერესი მონარდე — საქართველოს II ეროვნული ჩემპიონატის მონაწილენი. მათ დამატებენ რესპუბლიკაში საუკეთესო რეიტინგის მქონე კამათლის ოსტატები — სულ 28 კაცი და 128 მონაწილე შემოუსხ-

არც 27-ე საფეხურზე მდგომ ნუგზარ სიციქილაშვილს აყარა უკეთესი დღე, მათ კიდევ 6 მამაკაცი მიაყოლა და, მართალია, საბოლოოდ გამოეთიშა ტურნირს, მაგრამ ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა და შესაბამისი პრიზიც დაიმსახურა. დამეთანხმებით, ბევრ მამაკაცს გაუჭირდებოდა რვა ასეთი მაღალი კლასის მონარდის დამარცხება.

ნანა ხაზიურმა, საბოლოოდ, საუკეთესო ათეულში დამკვიდრა ადგილი. კურონები ამით არ ამოწურულა. მერვედდინალურ ორთაბრძოლაში დემურ რუხაძე პირდაპირ



საქართველოს ჩემპიონი მოკლე ნარდში მერაბ უკლება.

ბუშინ ბიბარტა საქართველოს საფხაბურთო ჩემპიონატის VIII ტურის შემხვედრები უმაღლესი ჯგუფის ბუნდაბს შორის.

- „ალაზანი“ (გურჯანი) —
- „სამგურალი“ (წყალტუბო) 8:0
- „ივერია“ (ხაზური) —
- „მზიური“ (გალი) 1:2
- „შვარდენი-1906“ (თბილისი) —
- „სანავარდო“ (სამტრედია) 7:1
- „ამირანი“ (ოჩამჩირე) —
- „კოლხეთი“ (ხობი) 0:0
- „ხულორი“ (ვანი) —
- „დლა“ (გორი) 2:1
- „მარგეთი“ (ნესტაფონი) —
- „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2:1
- „გურია“ (ლანჩხუთი) —
- „ცხუმი“ (ხობი) 1:0
- „გორდა“ (რუსთავი) —
- „ბათუმი“ (ბათუმი) 0:1
- „ქუთაისი“ (ქუთაისი) —
- „კოლხეთი-1918“ (ფოთი) 1:0

ტურის ბოლო შეხვედრა — „იბერია“ (თბილისი) — „ოლიში“ (ზუგდიდი) დღეს, 25 აპრილს გაიმართება. დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

ნარდი და უკუროზოდ?

(დასასრული)

ანადგურებდა ირაკლი სვიმონიშვილს (12:0) და გასამარჯვებლად 1 ქულა სპირდებოდა. ყველას ვგონი, ერთი პარტიის მოგება, ალბათ, აღარ გაუჭირდება რუხაძეს. მაგრამ მისი მეტოქე თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. ირაკლი სვიმონიშვილმა მშვიდად დაიწყო მე-13 პარტია — 12:1... და მოკლე ხანში გამარჯვებულმა დატოვა დარბაზი — 13:12. ეს იყო ტურნირის, ალბათ, ყველაზე დიდი სენსაცია.

მოკლედ, გამოვლინდა 8 საუკეთესო მონარდი, რომელთაც უნდა გაეგრძელებინათ ბრძოლა ჩემპიონობისათვის. ისინი ორ ქვეჯგუფად დაიყვეს.

I ქვეჯგუფში მოხდნენ ირაკლი სვიმონიშვილი, დემურ რუხაძე, ს. ცერცვაძე და ემზარ ლითაძე. მათგან ნახევარფინალის საგზურები მოაპოვეს ი. სვიმონიშვილმა და დ. რუხაძემ, რომელთაც 2-2 მეტოქე დააპირეს.

II ქვეჯგუფში ბათუმელებმა: ილია შანიძემ და ვ. თავდგირიძემ წარუმატებლად იასპარესეს და ნახევარფინალში გავიდნენ მიხეილ სურგულაძე და მერაბ უკლება. ამ უკანასკნელმა შედარებით იოლად სძლია ირაკლი სვიმონიშვილს (15:10) და პირველი ფინალისტის ვინაობაც გაირკვა. ფინალის მეორე მონაწილის გამოვლენას ოთხსაათიანი ხედავით დასჭირდა. მიხეილ სურგულაძისა და დემურ რუხაძის შეხვედრა არა მარტო ხანგრძლივი სათამაშო დროის გამო აღიარეს მსაჯებმა და მონაწილეებმა ტურნირში საუკეთესოდ — მასში იყო ყველაფერი, რითაც საინტერესო, არაორდინარულია ნარდი: მახვილგონივრული კომბინაციები, ბედის ვალიშები და თუ უიღბლობა, ნაპირი „დუშაშები“. ამ მიზეზით ორთაბრძოლაში საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ სურგულაძემ გამარჯვა — 15:14.

მიხეილ სურგულაძის პრაქტიკული გამოცდილება და ნარდის თეორიული ცოდნა ზოგს საქმარის მიაჩნდა საიმისოდ, რომ მერაბ უკლებასთან ფინალური შეხვედრის წინ საქმარად გაბედულად განეცხადებინა: უშუკველია, უთუოდ სურგულაძე გამარჯვდება. მაგრამ ნა-

რდმა კვლავ გაგახსენა, რომ ყველა პროგნოზი განწირულია გასაბათილებლად. თუ კამათელმა იხედა.

შეხვედრა, რომელიც 17 ქულამდე მიმდინარეობდა, ქუთაისელი მონარდის — მერაბ უკლებას უპირატესობით დაიწყო და ერთ საათში იგი საკმაოდ დამაჯერებლად იგებდა — 13:4. მაგრამ სურგულაძემ შეძლო დასწროდა მეტოქეს (13:13). მომდევნო პარტია კვლავ მისი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ უკლება, რომელსაც საოკრად წაყალიბდა ბედი, მაგისტრს გამარჯვა ანგარიშით — 17:14.



საქართველოს ჩემპიონი გრძელ ნარდში ილია შანიძე.

საქართველოს ახალი ჩემპიონი 26 წლისაა, პროფესიით ენერგეტიკოსია. სწორედ მას გადაეცა ცნობილი მხატვრის სერგო სავანელის მიერ დამზადებული ბროლის თასი და 3000 მანეთი — ჩემპიონისათვის დაწესებული პრიზები. რაც მთავარია, მან მიიღო უფლება იასპარეზოს მსოფლიო თასის გათამაშების სავალტურო შეჯიბრებაში — აქ მის მაგივრად 970 დოლარის სხედი გადარიცხავს. მეორე ადგილზე გავიდა მიხეილ სურგულაძე, III-IV ადგილები გაიყვეს დემურ რუხაძემ და ირაკლი სვიმონიშვილმა. ეს უკანასკნელი ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მონარდედაც აღიარეს.

ტრადიციულად, კლასიკურ ნარდში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მსურველებმა გრძელ ნარდშიც სცადეს ბედი. აქ 32 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობის და შედარებით მაღელვებით მოიხვედნენ პრიზები — ნახევარფინალში თბილისელმა ომარ ძოძუაშვილმა დაამარცხა ბეჟან უმიკაშვილი (გორი) — 5:4, ილია შანიძემ — რევაზ როყვა (თბილისი) — 5:3. ფინალში კი, რომელიც მეტად საინტერესო გამოდგა, ი. შანიძემ სძლია ო. ძოძუაშვილს — 7:5. გამარჯვებულს და პრიზიორებს გადაუცათ სამხსოვრო და ფულადი პრიზები.

აღსანიშნავია, რომ ილია შანიძის ინიციატივით ჩემპიონებმა და პრიზიორებმა მოკლე და გრძელ ნარდში ფულადი ჯილდოები გადარიცხეს სამაჩაბლოს ფონდში და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნარდი მხოლოდ გასართობი თამაში არ არის.

ლევან ჯაპახიშვილი

ქართველ მონარდთა რეიტინგი 1991 წლის 25 აპრილისათვის (რეიტინგში გათვალისწინებულია საქართველოს II ეროვნული ჩემპიონატის შედეგები):

1. ემზარ ლითაძე 1359
2. მიხეილ სურგულაძე 1259
3. ირაკლი სვიმონიშვილი 764
4. მერაბ უკლება 669
5. დემურ რუხაძე 445
6. მურთაზ კიკაღიშვილი 381
7. რევაზ რეხვიანიშვილი 381
8. მერაბ კიკაღიშვილი 373
9. თამაზ ნანიტაშვილი 363
10. რევაზ კობახიშვილი 355
11. ვახტანგ ცერცვაძე 332
12. ილია შანიძე 328
13. არჩილ ოდიშარია 325
14. დემურ მალაქელიძე 269
15. ნიკოლოზ გუგულაშვილი 261
16. დიმიტრი გოგოლაძე 261
17. დავით კალმახელიძე 239
18. რევაზ სოსხაძე 218
19. ავთანდილ გონგლაძე 215
20. ნუგზარ სიკინკილაშვილი 209

უნიკალური საქართველოს სპორტულ გუნდების წარმოშობა

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — სპორტულ ეურნალისტთა ასოციაცია — შეიქმნა საქართველოში. მისი დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობაში, რომელიც თბილისში გაიმართა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის პრესის წარმომადგენლები.

კონფერენციის მონაწილეებმა პარტიის მიერ შეიქმნა ეურნალისტის მიხეილ კაკაბაძის — საქართველოს სპორტულ ეურნალისტთა ფედერაციის პირველი თავმჯდომარის ხსოვნას. ამ ფედერაციამ, რომელიც 1964 წლიდან არსებობს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სპორტულ ეურნალისტთა საქმიანობაში, თუმცა იგი დიდად იყო დამოკიდებული შესაბამის საკვალიფიკაციის ფედერაციებზე. მას უკვე აღარ ძალუძს გადაწყვიტოს დროით ნაკარნახევი პრობლემები. ამიტომაც შეიქმნა ახალი ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებლის დროსაც განიხილეს და მიიღეს მისი საქმიანობის დებულების პროექტი, აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები და სარევიზო კომისია.

საქართველოს სპორტულ ეურნალისტთა ასოციაცია არის დამოუკიდებელი სრულფუნქციონირებადი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და თავისი საქმიანობის დებულების შესაბამისად. მას აქვს იურიდიული უფლება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ თავისი უძალესი ორგანო — ყოველწლიურად მოწყობილი კონფერენციის წინაშე. იგი აქტიურად ითანამშრომლებს რესპუბლიკურ და საერთაშორისო შემოქმედებით კავშირებთან, სპორტულ და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

ასოციაცია იცავს თავისი წევრების უფლებებს, ახორციელებს ღონისძიებებს მათი მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის. საქმიან კონტაქტებს ამყარებს საქა-

რთველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სპორტულ ეურნალისტთა კავშირებთან და ფედერაციებთან, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციასთან, რომელშიც სრულფუნქციონირებს წევრად შესვლა ამ ახალი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ასოციაციის გეგმებში შედის სპორტული ლიტერატურის გამოცემა, საბანკო ანგარიშების, მათ შორის სავალუტო ანგარიშების გახსნა, კომერციული საქმიანობა, დამხმარე საწარმოების შექმნა, სპონსორებთან თანამშრომლობა. ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები მიეწყობა ოთხ წელიწადში ერთხელ.

ასოციაციის დებულების დამტკიცების და მისი წევრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის შემდეგ აირჩიეს პრეზიდიუმი 13 კაცის შემადგენლობით. მას დაევალა სპორტული ეურნალისტის სტატუსის შემუშავება.

ალტერნატიულ საფუძველზე მოეწყო ასოციაციის პრეზიდენტი არჩევნები. სამი დასახელებული კანდიდატიდან ორმა — გავრევიზის „სარბიელის“ და „ლელოს“ რედაქტორებმა ზურაბ ფოცხვერიამ და თენგიზ გაჩეჩილაძემ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები. ამასთან, მეორემ იმის გამო, რომ არის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და შემუშავებულია მიაჩნია ორი საზოგადოებრივი თანამდებობის შეთავსება.

ასოციაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ვახუშტი „სარბიელის“ რედაქტორის მოადგილე ელგუჯა ბერიშვილი, ვიცე-პრეზიდენტად — საქართველოს ტელევიზიის სპორტული კომენტატორი თამარ ბალაგაძე და ქუთაისელი ეურნალისტი თამაზ ხარაბაძე. გენერალურ მდივნად აირჩიეს საქართველოს სპორტული ეურნალისტის ვეტერანი, ვახუშტი „კაბადონის“ წარმომადგენელი ჯიმშერ ნუნუქიძე.

სამინფორმ.

მოკლედ

საშუაის კომუნალური მეურნეობის (უფროსი რ. ნამგალაძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ნ. ქურდაძე) ვაე კალათბურთელთა გუნდმა ფინალში დაამარცხა მექანი-

კური ქარხნის წარმომადგენლები და სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ რაიონული საბჭოს პირველობა მოიხვია.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა 800 მანეთი და სამხსოვრო საჩუქარი, დამარცხებულს — 400 მანეთი.

ინფორმაცია

მთიანეთის შესვენების შემდეგ ისტორიული მეტოქეები: ვარი კასპაროვი და ანატოლი კარბოვი

კვლავ შეხვედებიან ერთმანეთს. ეს მოხდება ამტერადამის საერთაშორისო ტურნირზე (მეექვსეებზე მაალა, მეთექვსეებზე კატეგორიას), რომელიც 1 მაისს დაიწყება.

კორჩნოი (შვეიცარია), ნიკელ შორტი (ინგლისი), მიხეილ გურვიჩი, რომელიც ახლა კონტრაქტით ბელგიაში მუშაობს, მასშინძელი იან ტიმინს და სხვები.

საყურადღებოა, რომ ეს იქნება, კასპაროვისა და კარბოვის 157-ე შეხვედრა.



თავი და თავი ველოსიპედი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩინეთის ქალაქებში საზოგადოებრივად გამოხსნილი ავტომოპედარული უმაღლესი ეჩვევა საკმაოდ სპეციფიკურ მუხობლობას. პირველი მეტრების გავლისთანავე, მას გააოგნებს ორბორბლიანი ტრანსპორტის დიდი რაოდენობა, რომლის სა-

ერთო მასაშიც ველოსიპედი სპარბობს. ჩინელთა უმრავლესობისათვის გადაადგილების ძირითად საშუალებას სწორედ ეს მანქანები წარმოადგენს.

მსოფლიოში ყველაზე „ველოსიპედურ სახელმწიფოში“, როგორცაც ხშირად უწოდებენ ჩინეთს, საერთო ჯამში ორას მილიონზე მეტ ველოსიპედს ითვლიან. ქვეყანაში ყოველწლიურად უშვებენ ორმოცი მილიონამდე ორთვლიან მანქანებს. ამის მიუხედავად, მათზე მოთხოვნა იღვება უწინდებურად დიდია.

სპარტში: ველოსიპედთა მოღვაწეობა ჩვეულებრივი მოღვაწეობა ჩინეთის ქალაქების ქუჩებში.

ტურნირები და შედეგები

26-28 აპრილს გერმანიის ქალაქ აშფენბურგში გაიმართება მსოფლიოს შორის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ (ყოფილ კლასიკურ) კლასობაში. სსრკ ნაკრები შეჯიბრებაზე გაემგზავრა ახალი მწვრთნელის, ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონის მიხეილ მამიაშვილის ხელმძღვანელობით.

აშშ-ის „ბრან-პარი“ წრიულ საგზატეკილო მორბობაში (მოწყობილი კალიფორნიის ქალაქ ლაგუნ-სეკში), რომელიც ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატის შესამე ეტაპს წარმოადგენდა, გაიმარჯვეს ამერიკელმა უეინ რეინიმ („იამახას“ მორტოკილი) და იტალიელმა ლუკა კალალორამ („პონდა“). ამერიკელი უძლიერესი იყო 500 კმ სმ ძრავიანი მანქანების კლასში, იტალიელი კი 250-იანებში.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ქალთა შორის, 17 წლის მონიკა სელეშემა მოიგო ამერიკის ქალაქ პიუსტონში გამართულ „ვირჯინია ხლიშის“ ხერის ტურნირი. ფინალში მან ამერიკელ შერეჯო ფერნანდესს აჯობა — 6:4, 8:3. ეს წლიულის ხელეშის შესამე გამარჯვებაა ხანგრძლივი ტურნირების. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 27 მარტში იგი მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

პოკეისტი მსოფლიო ჩემპიონატი

პიონატზე, რომელიც ფინეთში მიმდინარეობს, ოთხი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ კანადისა და სსრკ-ის გუნდები. მათ 8-8 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან შვეიცის (6), ჩეხოსლოვაკიის (4), ფინეთის, აშშ-ის (3-3), შვეიცარიისა და გერმანიის (0-0) კოლექტივები.

პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთდღიანი რბოლა ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი, რომელიც ამავე დროს, მსოფლიო თასის მეოთხე ეტაპს წარმოადგენდა, მოიგო 20 წლის იტალიელმა მორჩეო არტურტინმა. რთული, 267-კილომეტრიანი ტრასა მან 7 საათსა და 15 წუთში დაფარა. ოთხი ეტაპის შემდეგ, მსოფლიო თასის ჩათვლაში დაწინაურდა დანიელი როლფ სორენსენი, რომელსაც 82 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს, ბელგიელ ედუინ ვან შოდილოვს 18 ქულით სჯობნის.

მსხრამტი ამერიკის საკლუბო ჩემპიონი კალათბურთში გახდა სან-პაულუსი (ბრაზილია) „როველო“, რომელმაც ფინალში დაამარცხა არგენტინის „ატენასი“ 94:72. შესამე ადგილისათვის ბრძოლა მოიგო ურუგვაის „ნეპტუნომ“, მეოთხე ადგილზე კი პარაგვის „ლიბერტადი“ დარჩა.

ჩემპიონთა ტურნირს, რომელმაც კალათბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ბრაზილიის ქალაქი ფრანკა მასპინძლობდა.



მიხეილ მესხი

მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის სწორუბოვარი ხელოვანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ შალვას ძე მესხი. თავზარდამცემია ასე ადრე და ასე უეცრად გამოეთხოვო გამოჩენილი ღირსეული ადამიანს, რომლის უმაღლესმა საფეხბურთო ხელოვნებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული და არა მარტო ქართული სპორტის ისტორიაში.

მსოფლიოს სტადიონებზე მაყურობელი გაოგნებული უყურებდა ამ ვერცხლისწყალივით მოძრავე, ერთ-თავად ბობოქარ და ერთ მუშტად შეკრულ თავდამსხმელს, რომლის დვიურმა ნიჭმა, დაუოკებელმა ტემპერამენტმა და უსაზღვრო შესაძლებლობებმა არ იცოდა რა იყო წინააღმდეგობა. შემოფარგლული ჩარჩოები, ელვის სისწრაფით, თავლ-შეუვლები მოძრაობებით დაქროდა იგი მიწაზე და თან დასდევდა თავბრუდამხვეულ მცველთა მთელი რაზმი. არ იყო ძალა, რომელიც ზღვარს დაუდებდა მის სწორუბოვარ თარვს მიწაზე.

ეს იყო მეტად ორიგინალური, აბსოლუტურად საკუთარი ხელწერის ფეხბურთელი, რომლისგანაც გულშემოტივარი მოთხოვდა ყველაფერს, ზოგჯერ იმაზე გაცილებით მეტსაც, რაც ფეხბურთელს შეუძლია საერთოდ გააკეთოს.

შემდეგ მოვიდა დრო მისა სპორტიდან წასვლისა. მიხეილ მესხმა დატოვა სპორტი და დღემდე ლეკვინდა დაღის მისი განუყოფელი ფინტების იგავები. თაობათა ხსოვნაში მარად იცოცხლებს მისი მხიარული, ხალისიანი, ოდნავ იუმორიანი, ლაღი და თავლშეუვლები ქროლვა.

ქართული ფეხბურთი მუდამ გამოირჩეოდა უბრალო დიდოსტატებით და მათგან ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ღირსეულად ეკუთვნის მიხეილ მესხს — გამოჩენილი ოსტატსა და სწორუბოვარ მებრძოლს.

მიხეილ შალვას ძე მესხი დაიბადა 1937 წელს. ბუნებით ლაღ, საუკეთესო ფიზიკური მონაცემებით და-

ჯილდოებულ კაბუჯი იმთავითვე შეუყვარდა ფეხბურთი. 12-13 წლისამ თამაში დაიწყო თბილისის სახელგანთქმულ 85-ე საფეხბურთო სკოლაში. 17 წლის კაბუჯი მიიწვიეს თბილისის „დინამოში“, 1955 წელს იგი პირველად გამოვიდა თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში და 15 წლის განმავლობაში იღვწოდა დიდ საფეხბურთო ასპარეზზე.

მიხეილ მესხი 1958 წელს მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში. 1960 წელს გამოარჩევდა იზეიმა ევროპის თასის გათამაშებაში, მონაწილეობდა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ და 1966 წლის მსოფლიო თამაშებში. 1964 წელს თანაგუნდელებთან ერთად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი; მერე სამჯერ იყო მესამე პრიზიორი, ექვსჯერ, და მუდამ პირველ ნომრად, შედიოდა საბჭოთა კავშირის 38 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში; 1965 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

1970 წელს მიხეილ მესხი სათავეში ჩაუდგა თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლა „გაზას“, რომელსაც ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლო დღემდე.

მარტოაღწერილი ოფიციალური თარიღებითა და ჯილდოებით არ განისაზღვრება ის ამაგი და ღვაწლი, რაც მიხეილ მესხმა გასწავა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. იგი სულით და გულით ქართველი კაცი იყო, სწორედ ქართული სპეციფიკით თამაშობდა ფეხბურთს, სწორედ ამით ხიბლავდა მაყურებლებს და სწორედ ამიტომაც მოიპოვა უსაზღვრო სიყვარული. დიდი და ფასდაუდებელია მიხეილ მესხის ღვაწლი ჩვენი ფეხბურთის წინაშე, ამიტომაც დიდ მადლობას უძღვნის მას შობილი ხალხი უხადლო საფეხბურთო ხელოვნებისთვის, ამიტომაც თავდასხმული ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ, სასწაულო ფეხბურთელს.

მარადიული იქნება შენი ხსოვნა, ღირსეულო მამულიშვილი!

დიდმა გულითკითვლია, რომელიც მუდამ თან ახლავს საყვარელი კაცის უბრალო, დიდი ხანის თი ამბავი გატყუებულ სიყვარული წლის წინ იყო აღბრუნებული ქვიას რომელიც უბრალოდ მარტო — ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დიდი მოყვარული და თავდაც კარგი ფეხბურთელი ვენორ ქვახანია. მიხეილ მესხზე უნდოდა წერილის დაწერა და ამ განზრახვას წინასწარ უთანხმებდა რედაქციას. დასტური სიამოვნებით მივეცი, მით უმეტეს, რომ ვიცოდით მიხეილისა და ბატონი ვენორის კეთილი მეგობრობის ამბავი.

მაგრამ, სამწუხაროდ, პირობა არ შესრულდა, რისთვისაც ბატონმა

ქვეყანა

შეაყვანებულა...

ვენორმა ბოდიშები მოიხადა: წერილი არ იქნება იმიტომ, რომ მიზანწინააღმდეგო. მართალი გითხრა, ეს უარი დღეს არც გაგვიკვირებია. ეს კი არა, უფრო ის გაგვიკვირებოდა, დასტური რომ მიეცა ასეთი ბუნების კაცი იყო. ქვეყანა იცნობდა, პატავს სტემდა, ვთავაზებოდა, თვითონ კი მის გარეშე მო ატეხილ აურზაურსა და ხმაურს ცეცხლივით გაურბოდა.

სხვათა შორის, ბედისგანაც დიდად ვანებებებულა არ ყოფილა. პირობები მუდამ ჰქონდა, ოღონდ არა საფეხბურთო, ასე ვთქვათ, სპორტული, არამედ და უფრო მეტად — ცხოვრებისეული. იმიტომ, რომ არც მლიქვნელი ყოფილა და არც მამაშეგელი. სიმართლეს, რა გინდ მწარე და გულსატკენი უნდა ყოფილიყო, პირში მოგახლიდაო. თავის პოზიციას, თავის რწმუნას არ დათმობდა, როცა სწორი იყო. ბევრი საყვედური მიუღია ამის გამო, ბევრი რისხვა დაუშასხურებია.

ადამიანთა უმეტერებს ზოგჯერ ზღვარი არა აქვს. და მოხდა ისე, რომ ამ უმეტერების გამო ფეხბურთიდან განიდევნა მესხი. მას სიცოცხლე და სიხარული წაართვეს, ფეხბურთს სიხალისე დაუკარგეს, ჩვენ კი უდიდესი სიამოვნება მოგვატოვა, და ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ მიხეილ მესხი არ იყო ორდინარული კაცი.

ლელთაქანი

მისი ფეხბურთი

ხელოვნების ტოლფასი იყო

მიხეილ მესხი ყველა დროის ქართული ფეხბურთის, და არა მარტო ქართულის, ერთ-ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავი გახლდათ. მისი თამაში საფეხბურთო მოედანზე უმაღლესა რანგის პოეზიის, მუსიკის, მხატვრობის ტოლფასი იყო. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ, მის მრავალრიცხოვან თავყარისმცემლებსა და მეგობრებს შორის, ხელოვნების წარმომადგენლებს განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. იგი იყო ქართული სულის გამობრწყინება ფეხბურთის მოედანზე.

საკუთარი ღირსების გრძობა, რაინდული სულისკვეთება, ვეთქებადი ტემპერამენტი და პლასტიკური სილამაზე, რაც ქართველს

ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, ღმერთმა უზვალ დაანათლა მიშა მესხს. მის გამოჩენას მოედანზე აუწყებელ ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. კარგა ხნის მანძილზე, მიხეილ მესხი ფეხბურთის მოედანებზე ქართველი ხალხის პირველი ფალავანი გახლდათ. ოქროს ასოებით ჩაიწერა მისი სახელი ქართული სპორტის ისტორიაში. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მიხეილ მესხის თამაში, ის ვერასოდეს დაივიწყებს მის სახელს. ეს კი უკვდავებას ნიშნავს.

გობი თოთიბაძე

მიშა მესხი აღარა გეყავს... რუსთაველზე მურთავ ხურცილავა შემხვდა და მითხრა ეს საშინელი ამბავი. ლახვარით მომხვდა გულში.

ახლა ვისხუტებ: მე და თეგიზ ჩანტლაძე ვესტუმრეთ ერთხელ დილოში...

ეზოში, ხელმარცხნივ, ვეებერთელა თეთრი მარმარილოს მარცხენა ბუცი შემეფეთა თუ არა, თვალწინ გადამეშალა მიხეილ მესხის მიერ დაწოკებული მოედანი, ქორი რომ წიწილებს თავს დაესხმება, სწორედ ისეთი დაწოკებული... რა უგზო-უკვლოდ გარბი-გამორბოდნენ, რას მიეფინ-მოეფინებოდნენ ხოლმე მოწინააღმდეგენი, რომლებიც ძალაუნებურად გზას უცვლიდნენ და მეტოქის კარსაქვენ ზარ-ზეითი უშვებდნენ მეკარეთა მარად მოსალოდნელ რისხვას.

ხალხი ფეხზე დგებოდა, მაგრამ მთავარი უფრო ის იყო, რომ ხალხზე მეტად თავად უხაროდა, რო-

მესხურად დანიშნული პოეზი...

ცა მესხურად აწიოკებულ დაცვას შიგ კარში ბურთით დაესხებოდა ხოლმე გამარჯვების წერტილი.

მთელი ორი საათი გვიმტკიცებდა, რომ ფეხბურთი, თამაში კი არა, ხელოვნება არისო.

ტყუილუბრალოდ მიყვირიან ტრიბუნებიდან, როცა ვდგავარ და ვერ ვთამაშობ... გაიგეთ, ესე იგი ღმერთმა მუხა არ გამომიგზავნაო. შენ როცა მუხა არ ჰოგდის, და როცა ლექს ვერ წერ, ხომ არ გიყვირიანო, შემომიტია...

მიშა მესხი მართლა ღიდი ხელოვანი იყო. მცირერიცხოვანი ერის შეილებს მართლა რა გვეთამაშებოდა? ჩვენი ფეხბურთი ბრძოლა იყო — ან სიკვდილი, ან გამარჯვება, დაიან, ასე იყო მაშინ...

ვინ არ დამეთანხმება, რომ მიშა მესხი დიდი ფეხბურთელის გარდა, დიდი პიროვნება გახლდათ. ამიტომაც ემშვიდობა მისი მოწინააღმდეგეს, ამიტომაც იყო იგი იმდენი ქართ-

ველი გულშემტკიცებებისა — მთელი საქართველოსი.

ახლა რაღა დროსია, მაგრამ გულში მაინც აინჯად მრჩება, იქნებ ვერ მივაგეთ საკადრისი პატივი, იქნებ, ისე ვერ ვუპატიონეთ, როგორც ეკადრებოდა? იქნებ, საჭირო იყო მეტად გაფერთხილებოდი?

რას იზამ, ყველაფერი ბედია, დასანანია, რომ მიხეილ მესხი ადრე წავიდა ფეხბურთიდან; ათასჯერ უფრო დასანანია, რომ ადრე წავიდა ჩვენი...

მშვიდობით, ძმო მიშა, მე შენ ძალიან მიყვარდი.

კი ბატონო, ფეხბურთი ხელოვნებაა, გეთანხმები, რომ ფეხბურთშიც ბევრს ნიშნავს მუხა, ღვთის გამოგზავნილი მუხა.

შეც ღვთის კაცი იყავი და ნათელში გამყოფებს უფალი!

ჯანსუღ ჩარკვიანი

ჩამქრალი ვარსკვლავი

უსინათლო ჰომეროსი ქადაგებდა — ცხვე ყველა ვარსკვლავი მოჩანსო. უთუოდ ასეა.

ჩვენ კი, თვალხილულებს, ღმერთმა გვარგუნა ბედნიერება, იმ უთვალავ ვარსკვლავთა შორის ყველაზე მოკაშკაშე-მოელვარე გამოვარჩიით. მათ შორის ისეთებიც ყოფილან, რომლის ხილვითაც მხოლოდ ღმერთი არ ბრძაუდებია.

ქართული ფეხბურთის ცის კაბა-

ღონზე, ასე თვალმომპრელად ელვარებდა მიხეილ მესხის ვარსკვლავი.

ამბობენ, ჩვენ ახლაც ვხედავთ იმ ვარსკვლავებს, რომელნიც, თურმე, მრავალი ასეული წლის წინ ჩამქრალან. მათი შუქი დღემდე აღწევს ჩვენამდე და, ვინ იცის, როდის გაქრებაო.

ასევე დიდხანს იკაშკაშებს სხივი ჩვენგან გარდასული, დღეს ჩამ-

ქრალი მიხეილ მესხის ვარსკვლავისა, მის მიერ დანთებული საფეხბურთო ცეცხლის ჩირაღდნისა, რომლის ელვარება მანამდე არ ჩაქრება, ვიდრე ვარსებობთ, ვიდრე ცას შევცქერით, ვიდრე სპორტული ოსტატობა ასე ახლო დგას სხელოვნების ღმერთთან, მისი წილებდრი და მასთან წილნაყარი.

კობა მახარაძე

თუ მისა თაბაოგა, გარბნის ილი გაღასატანი იყო

ჩემი მეგობრებისათვის და ახლო-ბლუბისათვის არავრთხელ მიტყუამს და ახლა ხმამაღლა მიწადა გავიმეორებ: მიშა მესხმა თავისი თამაშით ისეთივე სიხარული და ბედნიერება მომანიჭა, როგორც ერთადერთი შევილის დაბადებამ! დამერწმუნეთ, რომ ასეა!

ვერც იმას დავმთავრებ, რომ იმ წლებში „დინამოს“ მარცხის სინანულიც ჩემთვის იოლი გადასატანი იყო — თუკი მოედანზე მი-

შას ვუყურებდი. ბარემ იმასაც გეტყვი, რომ მთელი ჩემი უმნიშვნელო საქმიანობა, თვითონვე ფეხბურთის სამსახურად რომ მივიჩნიე, სხვა არაფერია, თუ არა მიშა მესხის ვაღის გაღასატანი ამოღობვა, ერთხელ სუფრასთან გაუფხვილე: მე შენზე უფრო მეტად შეხსნილი ვარ-მეთქი... არ მივიკვრს, რადგან მე თავად იამანისტი ვარ — ასე მიბასუნა.

დავით ძლიბაძე



საქართველოს
ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში

I ჯგუფი
VII ტური

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ხიზარული-90“ (გაგრა) 3:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: გაგრაძე, ვაზაშვილი, ქოქოშვილი („ქართლი“).

„შუქურა“ (ქობულეთი) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: კედელოძე, გორგილაძე („შუქურა“), მოსიაშვილი („არაგვი“).

9 მეტრის წყის დაუცველობისთვის გააფრთხილეს ზ. წიკლაური („არაგვი“).



ს. ზედა —

„სუნდსვალში“

როგორც ცნობილი გახდა, თბილისის „ბურჯანაძის“ მოთამაშე ს. ჯედა ამიერიდან ითამაშებს შვეიცის „სუნდსვალის“ პროფესიულ კლუბში.



საქალაქგურთი

დიდების მუხაუზი

საქალაქგურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) გენერალური მდივანი, იუგოსლავიელი ბორისლავ სტანკოვიჩი არჩეულია საქალაქგურთი დიდების მუხაუზის წევრად. რომელიც აშშ-ის ქალაქ სპრინგფილდში (მასანუსეტის შტატი) მდებარეობს. სხვათა შორის, მუხაუზი მოთავსებულია უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში. იქ, სიდა ზუსტად 100 წლის წინ გაემოიგონეს ეს პოპულარული თამაში და გაიმართა პირველი საინტერესო შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით.

ბნ წლის ბორისლავ სტანკოვიჩი ბატონობს, დამთავრებული აქვს ბელგრადის უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი. მაგრამ არასდროს უშუაშავია სპეციალობით. 1955 წლამდე თამაშობდა ბელგრადის „პარტიზანსა“ და „ცრენა ზეზუდაში“, იყო იუგოსლავიის ჩემპიონი, შემდეგ მწვრთნელად დამსწრე მუშაობდა. 1976 წლამდე ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის კალაშნიკოვსკა კავშირს, მერე კი საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი აირჩიეს, სიდაც დღემდე მოღვაწეობს. სტანკოვიჩი ჩმა ბევრი რამ გააკეთა საქალაქგურთის პოპულარობისთვის მსოფლიოს ხუთსავე კონტინენტზე.

სპორტული ლაბარირების მოყვარულთა

საუბრაღებოდ!

ფასების რეფორმასთან დაკავშირებით, გაერთიანება „სოიუსსპორტლოტოში“ გაზარდა თანხა სპორტულ ლაბარირებში ავტომანქანის ურიგოდ შეძენის მისაღებად.

1991 წლის 16 აპრილიდან ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლება ბილეთის მფლობელს ეძლევა მაშინ, თუ მოგება ლატარია „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოსის“ ერთ ბილეთში შეადგენს არანაკლებ 20.000 მანეთისა.

საქსპორტლოტო.

„სქური“ (წალენჯიხა) — „კახეთი“ (თელავი) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: აბრალაია-2 („სქური“), აფაქიძე („კახეთი“).

„მალაროელი“ (ქიათურა) — „მრეტები“ (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი). გოლები: სეკასტაშვილი („მალაროელი“), ტყეაძე („მრეტები“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ა. კავთელიძე („მალაროელი“).

„ჩიხურა“ (ხანხურე) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 4:1. მსაჯი გ. ნიშნაძე (თბილისი). გოლები: სისვამე, ბურჯანიძე, მყეგრავილი-2 („ჩიხურა“), სირაძე (სტუ).

„სიონი“ (თბილისი) — ფიჭ. ინსტ. (თბილისი) 0:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ტოგონიძე-2 (ფიჭ. ინსტ);

„არაგვი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი ა. შილა-

კაძე (თბილისი). გოლი. სოლოლაშვილი („არაგვი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:2. მსაჯი შ. ბერიძე (თბილისი). გოლები: თედეშვილი, მთვარაძე-3 („ბახტრიონი“), ქვილითაია, ციმაკურიძე („სამეგრელო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ა. ქილაშვილი („ბახტრიონი“), მსაჯთან კამათისთვის — თ. სორდია („სამეგრელო“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 1:0. მსაჯი გ. კალანდია („საპოვნელა“). გოლი: ლიკაშვილი („საპოვნელა“).

განზრახ ბურთის ხელით დაქვრივდა, სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის მ. უკლება (ორივე — „საპოვნელა“).

„იმერეთი“ (ხონი) — „ევრისი“ (ხენაკი) 1:1. მსაჯი თ. გაგუა (სოხუმი). გოლები: ცინარიძე („იმერეთი“), წულაია („ევრისი“).

გათამაშავის ცხრილი

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

კლუბი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მრეტები“ (თბილისი)	7	6	1	0	11-2	19
„ოკრიბა“ (ტყიბული)	7	4	1	2	7-4	18
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	7	4	1	2	7-6	18
„დურუჯი“ (ყვარელი)	7	4	0	3	7-8	12
„შუქურა“ (ქობულეთი)	7	4	0	3	6-7	12
„კახეთი“ (თელავი)	7	3	2	2	12-5	11
„არაგვი“ (დუშეთი)	7	3	2	2	11-5	11
„არაგვი“ (დუშეთი)	7	3	2	2	12-7	11
„სქური“ (წალენჯიხა)	7	3	2	2	8-7	11
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	7	3	2	2	7-6	11
„ევრისი“ (ხენაკი)	7	3	2	2	7-10	11
სტუ	7	3	1	3	6-8	10
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	7	3	0	4	6-7	9
ფიჭ. ინსტ. (თბილისი)	7	3	0	4	7-8	9
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	7	2	2	3	8-10	8
„მალაროელი“ (ქიათურა)	7	2	1	4	6-7	7
„ჩიხურა“ (ხანხურე)	7	2	1	4	8-11	7
„ხიზარული-90“ (გაგრა)	7	0	4	3	2-9	4
„სიონი“ (თბილისი)	7	0	3	4	2-9	3
„იმერეთი“ (ხონი)	7	0	3	4	4-12	3

მაინს მოვიხადოთ მუღაზი

სულ რაღაც ათობედ დღის წინ მომავალი ვარდისფრად ჩანდა, ზოგი ოპტიმისტი კი სასწაულის მოლოდინშიც იყო. არადა, მართლაც დაუჩერებელი ამბავი მოხდებოდა, ვერაუდი რომ გამართლებულიყო. სამისოდ კი, ჯერ ერთი, ჯორჯ ფორმენს „სამეგრელოსასიციკლოლო“ ბრძოლაში უნდა დაემარცხებინა მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი პროფესიონალითა შორის — ევენდერ პოლიფილი. ფორმენი 42 წელსაა გადასიციკლებული, პოლიფილი კი ჯერ 28-ისაც არ აბის.

მეორედ, მიუნხენის ოლიმპიადის შვიდღის ჩემპიონს მარკ სიციუს უნდა მოეგო ამხანაგური შეხვედრების სერია დღევანდელ ჩემპიონებთან და ამ გზით მოეპოვებინა ადგილი აშშ-ის მოცურავეთა ოლიმპიურ ნაკრებში. სიცი 41 წლისაა, მისი პირველი მეტოქე ამ სერიებში, მსოფლიოს ყველაზე სწრაფი მოცურავე ტომი ჯაგერი კი 26 წლის.

და მესამედ — საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ექვსჯერ გამარჯვებულ და უიმპლონის ხუთჯის ჩემპიონს ბიორნ ბორგს მონტე-კარლოს ჩოგბურთელთა საერთაშორისო

სპორტის ტურნირში რამდენიმე ბრძოლა მაინც უნდა მოეგო, თუ, რა თქმა უნდა, ამ ტურნირის ტრიუმფატორი არ გახდებოდა. ბორგი 34 წლისაა, მისი პირველი მეტოქე ესპანელი ჰერდი არესე კი 23 წელს ახლახან გადასიციკლა.

ასაკში შესულ ადამიანსაც რომ აქვს თვითდამკვირვების სურვილი, არ უნდა იყოს გასაკვირი და ვეტერან სპორტსმენთა „ხელახალი მოსვლა“ ამითაც შეგვეძლოს აგვეხსნა. მაგრამ ახლა ბორგე ენები ამბობენ, რომ სამივე ზემოხსენებულ შემთხვევაში მთავარი მოტივი ფული იყო. ისე კი, კაცმა რომ თქვას, არც ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული, ვინაიდან... ჯორჯ ფორმენი გამარჯვების შემთხვევაში 20 მილიონ დოლარს ბოლოვდა, ჯაგერისთვის კი — 12,5 მილიონს.

მარკ სიციუს წყლის ბლიკზე ყოველი გამარჯვებისთვის 20 ათას დოლარს უხდებენ (აქ, რა თქმა უნდა, არ შედის რეკლამით მიღებული თანხები).

ბიორნ ბორგსაც წარმატების შემთხვევაში საკმაოდ მაღალი პონორარი ელოდა, ვინაიდან მონტე-კარლოს საერთაშორისო ტურნირის საქართველოში გამართვის



ბრაზილიელაზს

ლუკაპანე

პორტუგალიელაზი!

ცნობილი ბრაზილიელი მიმომხილველის ნეი ბიანკის აზრით, ბრაზილიური ფეხბურთის უპირველეს მტრებად უნდა მივიჩნიოთ... პორტუგალიელები! ურნალ „მანშეტერში“ გამოქვეყნებულ წერილში ბიანკი წერს იმის შესახებ, რომ პორტუგალიური კლუბები პირდაპირ ძარცვავენ ბრაზილიას. ისინი მოთამაშეებს ალუქვამენ უკეთეს მატერიალურ პირობებს, ვიდრე მათ სამშობლოში აქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გარემოება — ბრაზილიელებს ამ ქვეყანაში, ძველი ტრადიციის თანახმად, ორმაგ მოქალაქეობას აძლევენ და ისინი უცხოელებად არ ითვლებიან. ერთი სიტყვით, პორტუგალიურ კლუბებს შეუძლიათ ბრაზილიელი მოთამაშეების ნებისმიერი რაოდენობა ჰყავდეთ, და, რახან ისინი „ლიმიტირებული“ არ არიან, ორი ფეხბურთელი სხვა ქვეყნიდანაც მოიწვიონ.

— ყველაზე უკეთესი ის განსაკუთრებული მიმომხილველი — რომ ასეთი ურიტორიებით ორივე მხარე ზარალდება. ბრაზილიური კლუბები იძარცვებიან. „ემიგრირებული“ ბრაზილიელი მოთამაშეები პორტუგალიის გუნდებში ადგილს რომ იკავებენ, თავის შრივ, გზას უღობავენ ადგილობრივი ფეხბურთელი-

ბის ახალ თაობას. თუ ეს სკიოთი არ მოგვარდა, შემდეგში ორივე მხარეს ძალიან გაუჭირდება.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

როგორც ფიფა-ს პრეზიდენტმა ეთაო აველანემ ურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ აპირებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის აზიის რომელიმე ქვეყანაში ჩატარებას.

სამხრეთ კორეის რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანას ამ ჩემპიონატის მოწყობის კარგი შესაძლებლობები აქვს და პრეზიდენტ აველანეს წინასწარ ესაუბრა კიდევ მისი აზრით, ამასვე აპირებენ ჩინეთი და იაპონია.

გლახვიჩი — ფიფა-ს ინსტრუქტორი

წლების განმავლობაში ფიფა-ს ინსტრუქტორად მუშაობდა ცნობილი გერმანელი მწვრთნელი დეტმარ კრამერი. მას ევალუბოდა ეროვნული ფედერაციების შემოწმება, მათთვის რეალური დახმარების გაწევა. კრამერი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში, აწყობდა ლონსიძეებს და ა. შ.

ახლა ავადმყოფობის გამო დეტმარ კრამერი ველარ შეძლო მუშაობის გაგრძელება. 1991 წლის ზაფხულიდან მას შეეცვლის ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი ჩირო ბლაუვიჩი.

რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაკი

თბილისის სახალხო განათლების სამმართველო და „ავაზს“ საფეხბურთო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა სკოლის დირექტორი

მიხეილ შალვას ძე მახსი

და სამშობარს უცხადებენ განხვეწებულის ოჯახს.

პროფესორების საქართველოს ეროვნული დამოუკიდებელი სპორტსაზოგადოება „შევიარდნის“ რესპუბლიკური საბჭო და ამავე საზოგადოების რესპუბლიკური საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან განთქმული ქართველი ფეხბურთელის

მიხეილ მახსის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განხვეწებულის ოჯახს, ახლობლებს.

კაბუკო რესპუბლიკური საფეხბურთო კლუბი „იმედი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი

მიხეილ მახსი

და სამშობარს უცხადებენ განხვეწებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ყრუთა საზოგადოების პრეზიდენტი და საზოგადოების ყრუ ახალგაზრდობას შორის ფიჯულტურულ-სპორტული მუშაობის რესპუბლიკური კომისია ღრმა მწუხარებით იუწყებიან განთქმული ქართველი ფეხბურთელი

მიხეილ მახსი

და თანაგრძნობას უცხადებენ განხვეწებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ყრუთა საზოგადოების პრეზიდენტი და საზოგადოების ყრუ ახალგაზრდობას შორის ფიჯულტურულ-სპორტული მუშაობის რესპუბლიკური კომისიის წევრი, წარსულში მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელი

მიხეილ მახსი

და თანაგრძნობას უცხადებენ განხვეწებულის ოჯახს.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჰიქინაძე, კორექტორები: ც. ჩიტოვილი და მ. ქეძაძე.

წვენი მისამართი: წერეთლის რაიონი — 550008 თბილისი, მ. კოსტავას, 14, დეპუტატისთვის — თბილისი, ილღო.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 25-22-55 სამდივნო — 25-27-52 ინფორმაციის განყოფილება — 25-27-54. „მერანი“ — 25-27-25, „მარათე“ — 25-27-27.

ინდექსი INDEX ИНДЕКС 66435

საქართველოს ყრუთა-გაზრდობის გამიცემლობა „სამშობლო“ სტამბა. 850009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოცხუბური წესით, საგაზეთო კორპუსში, სოხარულს, 20. რედაქცია ვულკანის მთის მთხვევითა წერილებს, მაგრამ ყოველ მთხვევით გამომშობრებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვანია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20